შეცდომები, შეცდომები...

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 26 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) - სკვო (როსტოვი) 2:2 (1:1).

სკვო: კიკტევი, ბოჩაროვი, შევჩენკო, გეიზერი, ჩერტკოვი, პავლოვი, ეგოროვი (სმირნოვი), ვოლჩენკოვი, პონედელნიკი, ოდინცოვი, მოსალევი.

“დინამო”: ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ჩოხელი, ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, სიჭინავა, დათუნაშვილი, იამანიძე, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

3 ქულა 2 მატჩის შემდეგ მოსკოვის არმიელებთან და თბილისელებთან, ეს საუკეთესო დასაწყისია გუნდისთვის, რომელიც პირველად თამაშობს “ა” კლასში. მიუხედავად იმისა, რომ როსტოველები ორჯერ აგებდნენ მატჩს თბილისის “დინამოსთან” (0:1, 1:2), მათს რიგებს წამითაც არ დასტყობია რაიმე არეულობა ან დეზორგანიზაცია. ეს იყო სანიმუშო მოწინააღმდეგე თავისი ბრძოლისუნარიანობითა და გამარჯვებისადმი რწმენით, კოლექტიური და კეთილსინდისიერი შრომით 90 წუთის მანძილზე. როსტოვის სკვო-ს მოთამაშეებმა არ იციან რა არის დაღლა, მათთვის არ არსებობს “პირველხარისხოვანი” და “მეორეხარისხოვანი” მომენტები, ე.წ. “შავი სამუშაო” და ეფექტური პოზიციები. ყველაფერი, რაც მინდორზე ხდება, იქნება ეს კარის წინ, თუ კუთხური დროშის მახლობლად, გუნდის თითოეული წევრისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. გარდა ამისა, დებიუტანტის თამაში არ ამოიწურება მხოლოდ ენერგიითა და ბრძოლისუნარიანობით. მოთამაშეთა ტექნიკური მომზადება და ტაქტიკური ერუდიცია სავსებით შეესაბამება “ა” კლასს, ხოლო მათი ფიზიკური მონაცემები და სისწრაფე - სამაგალითოა სხვათათვის.

თბილისის “დინამო” გადახალისებული შემადგენლობით გამოვიდა მინდორზე და ამ სიახლემ სრული გამართლება ჰპოვა პირველი 15 წუთის განმავლობაში. ღოღობერიძე სისტემატურად ამარაგებდა გადაცემებით მესხს, კალოევი კვლავ შესანიშნავად ხელმძღვანელობდა თამაშს ცენტრში და თითქოს მარჯვენა ფრთაზეც ყველაფერი წესრიგში იყო. მასპინძელთა მძლავრ შტურმს სტუმრები ორგანიზებული დაცვით შეხვდნენ საჯარიმო მოედანთან, მაგრამ დინამოელებმა მე-3 წუთზე გაითამაშეს კომბინაცია, რომლის წინააღმდეგ უძლური იყო მცველთა ყოველგვარი გადაადგილება. ყველაფერი მოხდა სწრაფად, დახვეწილად და ლამაზად: იამანიძე-კალოევი-იამანიძე. მეკარე კიკტევმა მხოლოდ ბადეში მოუსწრო ბურთს - 1:0.

მაგრამ საფეხბურთო მატჩი, როგორც ცნობილია, შედგება ექვსჯერ 15 წუთისაგან და მხოლოდ პირველი მეექვსედის კარგად ჩატარება სრულიადაც არ ნიშნავს შეხვედრის მოგებას. თბილისელებმა თანდათან დათმეს თამაში და შემდგომში მხოლოდ ხანგამოშვებით, ეპიზოდურად იღებდნენ ხელთ ინიციატივას, დანარჩენი დროის მანძილზე კი ტონის მიმცემნი როსტოველები იყვნენ.

პირველი, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა თბილისელთა თამაშში, ესაა უამრავი შეცდომები. შეცდომები ბურთის მიღებისას, კომბინაციის გათამაშებისას და

განსაკუთრებით გადაცემებისას. პირდაპირ გასაოცარია, როგორ მარტივ სიტუაციაში და სრულიად თავისუფალ ვითარებაში კარგავენ დინამოელები გადაცემას. მაშინაც კი, როცა ორ პარტნიორს შორის არაა მოწინააღმდეგე, ბურთი იგზავნება ისეთი არაზუსტი გადაცემით, რომ მისი მიღება ან შეუძლებელია, ან დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

ჩვენი გუნდის დაცვაში კვლავ საიმედოდ ითამაშა ჩოხელმა, მაგრამ მას შესაფერისი მხარდაჭერა არ ჰქონდა ფლანგებიდან. გაუგებარია, რატომ იყო ცენტრალურ ზონაში დაწეული ხოჭოლავა, როცა ჩოხელს დახმარება არ ესაჭიროებოდა, ხოლო გარემარბი ეგოროვი (შემდეგ კი სმირნოვიც) შეუფერხებლად მოქმედებდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე.

აშკარად სუსტად ჩაატარეს მატჩი ნახევარმცველებმა. შუა მინდორი თითქმის მთლიანად სტუმრებისა იყო და თამაშის ბედიც ამან გადაწყვიტა. კოტრიკაძე და სიჭინავა დიდი დაგვიანებით ერთვოდნენ "საქმეთა ვითარებაში" და ფაქტიურად მოწყვეტილი იყვნენ საკუთარ თავდასხმას.

ფორვარდებს შორის არ იყო სისტემატური კონტაქტი და ურთიერთგაგება. მესხი ერთი და იგივე მანევრით უშედეგოდ ცდილობდა მოპირდაპირე დაცვის გარღვევას, ღოღობერიძე ხშირად აგვიანებდა ბურთზე გასვლას, იამანიძე ვერც ერთ პარტნიორს "ვერ ხედავდა" და გაუთავებლად ატარებდა ბურთს, ხოლო დათუნაშვილის დებიუტი მარჯვენა ფრთაზე ვერ გამოდგა შედეგიანი. ახალგაზრდა ფეხბურთელს არ ეთქმის იმდენი საყვედური, რამდენიც გუნდის მწვრთნელებს. აუცილებლად საჭირო იყო მისი შეცვლა მეორე ტაიმში.

მე-3 წუთზე გაშვებული გოლი როსტოველებმა გაქვითეს ტაიმის დასასრულს: პონედელნიკმა კარგად გამოიყენა ვოლჩენკოვის გადაცემა და ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი - 1:1.

მეორე ტაიმში სკვო-ს კარში დანიშნული იქნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, რომელიც შეუცდომლად გაიტანა ღოღობერიძემ - 2:1. მატჩის დამთავრებას აკლდა ორი წუთი და "დინამოს" თითქოს განაღდებული ჰქონდა მოგება, როცა ოდინცოვმა შორი მანძილიდან მიიღო გადაცემა და ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში - 2:2.

საერთოდ, ძნელი სათქმელია, ვინ დაკარგა ამ მატჩში ერთი ქულა, თბილისის "დინამომ" თუ როსტოვის სკვო-მ.

ბ. ქორქია

"ლელო", 28 აპრილი, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან"